

შპს „ატლას კორპ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(არააუდირებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. შესავალი	6
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	7
3. ძირითადი საშუალებები	10
4. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	11
5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	11
6. მარაგები	11
7. გრძელვადიანი სესხები	11
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
9. ამონაგები	12
10. სხვა შემოსავლები	12
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12
12. მიწოდების დანახარჯები	13
13. სხვა შემოსულობები/ (ზარალი)-ნეტო	13
14. ფინანსური ხარჯი	13
15. დაკავშირებულ მხარეთა მოვლენები	13
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13
17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	14

შპს „ატლას კორპ ჯორჯია“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

		12/31/2022	12/31/2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	864,867	813,444
		864,867	813,444
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	1,399,091	2,066,595
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	979,275	511,559
მარაგები	6	426,628	166,748
		2,804,994	2,744,903
		3,669,861	3,558,347
მთლიანი აქტივები			
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,187,969	2,379,241
		2,188,969	2,380,241
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	7	166,349	165,529
		166,349	165,529
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	1,160,948	884,300
გადასახდელი პროცენტები		153,595	128,277
		1,314,543	1,012,577
		1,480,892	1,178,106
მთლიანი ვალდებულებები			
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,669,861	3,558,347

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 26 სექტემბრის შემდეგი პირის მიერ:

ხელისმომწერი პირი:

ლევან გოჩიტაშვილი

დირექტორის წარმომადგენელი



შენიშვნები 6-14 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ატლას კორპ ჯორჯია“
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
 (ლარში)

		31/12/2022	31/12/2021
ამონაგები	9	5,205,082	5,000,793
თვითღირებულება		(3,485,266)	(3,528,826)
საერთო მოგება		1,719,816	1,471,967
სხვა შემოსავლები	10	123,609	92,705
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	(820,603)	(745,096)
მიწოდების დანახარჯები	12	(1,559)	(5,822)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	13	(239,012)	(73,576)
საოპერაციო მოგება		782,251	740,179
ფინანსური ხარჯი	14	(51,673)	(48,522)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(51,673)	(48,522)
მოგება დაბეგვრამდე		730,578	691,657
მოგების გადასახადი		(76,608)	-
წმინდა მოგება		653,970	691,657
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		653,970	691,657

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის
 26 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ხელისმომწერი პირი:

ლევან გოჩიაშვილი

დირექტორის წარმომადგენელი



შენიშვნები 6-14 გვერდებზე წარმოდგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.
 შპს „ატლას კორპ ჯორჯია“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარში)

2020 წლის 31 დეკემბერი	1,000	-	1,687,584	1,688,584
წმინდა მოგება	-	-	691,657	691,657
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	691,657	691,657
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	1,000	-	2,379,241	2,380,241
წმინდა მოგება	-	-	653,970	653,970
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	653,970	653,970
გაცემული დივიდენდი	-	-	(845,242)	(845,242)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	1,000	-	2,187,969	2,188,969

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის
26 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ხელისმომწერი პირი:

ლევან გოჩიტაშვილი

დირექტორის წარმომადგენელი



შენიშვნები 6-14 გვერდებზე წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს “ატლას კორპ ჯორჯია” (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2009 წლის 2 ივნისს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, შპს ატლასკორპ აზერბაიჯანი წარმოადგენს კომპანიის 95%-იანი წილის მფლობელს, ხოლო ფიზიკური პირი, ლევან გოჩიტაშვილი წარმოადგენს 5%-იან წილის მფლობელს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს მძიმე ტექნიკისა და მათი სათადარიგო ნაწილების რეალიზაცია, საბურღი მანქანებისა და კომპრესორების იჯარა, მომსახურება. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ე. ამაშუკელის ქ., №23, ბ. №96

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31/12/2022	31/12/2021
1 USD/GEL	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.8844	3.5040

კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით

და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები **მომზადების საფუძვლები**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2022 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2022 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. კომპანია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული „ბრძანება №6“-ში მოცემულ, მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადებისა და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)	
მანქანა დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
სპეციალური ინსტრუმენტები	5
შენობა ნაგებობები	20

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსურ აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება, რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად იქამდე, სანამ საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება, ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში, გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ

გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

3. ძირითადი საშუალებები

	შენიშნულ- ნაგებობები	მიწის ნაკვეთ ები	მანქანა- დანადგ არები	ოფისის აღჭურვილობ ა და ავეჯი	სატრანსპორ ტო საშუალებები	სპეც. ინსტრუმე ნტები	სულ
		317,00					
31 დეკემბერი 2021	353,028	0	272,199	36,558	286,523	12,263	1,277,571
შემოსვლა	-	-	-	2,542	155,199	-	157,741
გასვლა	-	-	-	(2,160)	(106,878)	(1,276)	-
		317,00					
31 დეკემბერი 2022	353,028	0	272,199	36,939	334,845	10,987	1,324,997
ცვეთა და გაუფასურება							
			(236,82				
31 დეკემბერი 2021	(6,716)	-	)	(15,397)	(197,272)	(7,914)	-
			(19,055				
პერიოდის ცვეთა	(17,651)	-	)	(5,683)	(37,600)	(663)	(80,653)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	84,547	103	84,649
			(255,88				
31 დეკემბერი 2022	(24,367)	-	)	(21,080)	(150,326)	(8,475)	(460,131)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
		317,00					
31 დეკემბერი 2021	346,313	0	35,371	21,160	89,252	4,349	813,444
		317,00					
31 დეკემბერი 2022	328,661	0	16,316	15,859	184,519	2,512	864,867

4. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	12/31/2022	12/31/2021
ნაღდი ფული სალაროში	801	19
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,398,290	2,066,576
სულ	1,399,091	2,066,595

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	12/31/2022	12/31/2021
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	975,630	398,500
გადახდილი ავანსები	2,705	112,119
სხვა მოთხოვნები	940	940
სულ	979,275	511,559

6. მარაგები

	12/31/2022	12/31/2021
საქონელი	426,628	166,748
სულ	426,628	166,748

7. გრძელვადიანი სესხები

						12/31/2022	12/31/2021
გრძელვადიანი	სესხის გაცემის თარიღი	სესხის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო სარგებელი	ვალუტა		
ნასირ აბდულაევ	22/4/2014	22/4/2014	22/4/2024	13%	EUR	28,844	-
Atlas Copco Makinalari							
Iamalati A.S.	5/2/2014	5/2/2014	5/2/2024	13%	EUR	-	-
Crowson Trade INC	6/2/2014	6/2/2014	26/2/2024	13%	USD	22,129	25,369
Crowson Trade INC	24/05/2016	24/05/2016	24/05/2026	13%	EUR	115,376	140,160
						166,349	165,529
სულ სესხები						166,349	165,529
ძირი							
პროცენტი						153,595	128,277

გამომდინარე იქიდან, რომ სასესხო ხელშეკრულებებში არ არის გაწერილი სესხის ძირი თანხის გადახდის გრაფიკი, არ გამოვყოფთ მიმდინარე პერიოდში გადასახდელ ძირი თანხის ოდენობას.

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2022	12/31/2021
სავაჭრო ვალდებულებები	999,275	352,591
მიღებული ავანსები	161,673	507,401
ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	-	24,308
სულ	1,160,948	884,300

აღნიშნული ვალდებულებების ვადები და პირობები:

- სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი და მათი დაფარვა ხდება ყოველთვიურად ფინანსური წლის განმავლობაში;
- გადასახდელ ხელფასებსა და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტები და ჩვეულებრივ მათი დაფარვა ხდება 1 თვის ვადაში.

9. ამონაგები

	12/31/2022	12/31/2021
საქონლის გაყიდვა	5,004,623	4,942,436
მომსახურების გაწევა	200,459	58,357
სულ	5,205,082	5,000,793

10. სხვა შემოსავლები

	12/31/2022	12/31/2021
არასაოპერაციო მოგება	123,609	92,705
სულ	123,609	92,705

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	12/31/2022	12/31/2021
ძირითადი საშუალებების რემონტი	(8,642)	(19,059)
შრომის ანაზღაურების ხარჯი	(590,548)	(498,222)
სამიწვინებო ხარჯი	(13,523)	(2,695)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(9,796)	(1,309)
საიჯარო ქირა	-	(13,782)
საწვავის ხარჯები	(20,978)	(17,034)
ბუღალტრული და აუდიტორული მომსახურების ხარჯები	(33,000)	(24,000)
დაზღვევა	(8,689)	(11,416)
ცვეთა და ამორტიზაცია	(80,653)	(69,622)
სხვა საერთო ხარჯი	(45,607)	(37,226)
სხვადასხვა მომსახურებების ანაზღაურება	(2,623)	(34,485)
ოფისის რემონტზე გაწეული სხვა საერთო ხარჯი	-	(10,012)
ქონების გადასახადის ხარჯი	(6,544)	(6,234)
სულ	(820,603)	(745,096)

12. მიწოდების დანახარჯები

	12/31/2022	12/31/2021
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(1,559)	(5,822)
სულ	(1,559)	(5,822)

13. სხვა შემოსულობები/ (ზარალი)-ნეტო

	12/31/2022	12/31/2021
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(239,012)	(73,576)
სულ	(239,012)	(73,576)

14. ფინანსური ხარჯი

	12/31/2022	12/31/2021
გადასახდელი პროცენტები	(51,673)	(48,522)
სულ ფინანსური დანახარჯები	(51,673)	(48,522)

15. დაკავშირებულ მხარეთა მოვლენები

საწარმოს აკონტროლებს შპს ატლასკორპ აზერბაიჯანი (1300549971), რომელიც ფლობს წილის 95%-ს, დანარჩენი 5%-ს ფლობს კომპანიის დირექტორის წარმომადგენელი, ლევან გოჩიტაშვილი.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო ომი უკრაინაში, რამაც გამოიწვია 2014 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაცია. ომი ჯერ კიდევ გრძელდება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის. შეჭრა საერთაშორისო მასშტაბით დაგმეს. ბევრმა ქვეყანამ დააწესა ახალი სანქციები, რამაც გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შედეგები რუსეთისთვის და მსოფლიო ეკონომიკისთვის. მიუხედავად იმისა, რომ შპს ატლასკორპ ჯორჯიას საქმიანობა პირდაპირ არ არის დაკავშირებული რუსეთთან, აღნიშნულმა ფაქტმა კომპანიის საქმიანობაზე მაინც იქონია უარყოფითი გავლენა. რუსეთისთვის დაწესებულმა სანქციებმა შეაჩერა ჩვენი სარეალიზაციო პროდუქტების საწარმოებლად საჭირო ნედლეულის მიწოდება, რამაც წარმოების ჯაჭვის წყვეტა გამოიწვია. შესაბამისად, გაძვირდა საბოლოო პროდუქტი და ხშირ შემთხვევაში გაორმაგდა მიწოდების ვადები, რაც კომპანიის საქმიანობას სერიოზულად აფერხებს.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში ასახვას საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 26 სექტემბერს.